

ამ ტელეგრამის პასუხად იმავე გაზეთის 129 ნომერში ეკითხულობთ დურნოვოს შემდეგ პასუხს.

„საქართველოს ექსარხოსის კანცელარიის გამგის ტელეგრამა, რომელიც მოთავსებულია C. II. B. 120 ნომერში, სრულიად ლიტონი სიტყვებით უარყოფს მას, რაც მოხდა. დაწვრილებითი ცნობები დავით ეპისკოპოსის ენით და სულით მშობლიურ სამწყსოსთან გამოთხოვების აკრძალვის შესახებ ჩვენ გადმოვეცით ისე, როგორც გვწერდა ჩვენი კორრესპონდენტი (კორრესპონდენცია გამოგზავნილია პეტერბურგს 28 მაისს). უფალ ექსარხოსს შეუძლია უარ ყოს ყველაფერს, რაც უნდა, მაგრამ თვით ფაქტები ფაქტებადვე რჩებიან. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ არა თუ ყოვლადსამღვდელო დავითი დაგვიმოწმებს ჩვენ ცნობებს, შესახებ იმისა, რომ ექსარხოსმა აუკრძალა მას წირვის შესრულება, არამედ არ შეუშინდება დაგვიმოწმოს ქუთაისის დეპუტატის უ. გეგეკორის სიტყვები სახელსათათბიროში, სადაც უკანასკნელი ბრალს დებს ექსარხოსს საქართველოს ეკლესიის ქირდაში: ამის წინააღმდეგ ვერც არაფერი ვ. კ. საბლერმა უთხრა. მოეაგონებთ უ. ექსარხოსს მის ქართველ მსწავლულ ეპისკოპოს კირიონზე ქირდავას, რომელიც 1908 წ. მიიქცა საჩივრით მიტროპოლიტ ანტონისადმი კირიონოკენტის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ ტამბოვის ეპისკოპოსი იყო და სანაკსარის მონასტრის ილუმენს მისწერა გააორკეცოს უდანაშაულო მდებარე ეპისკოპოსის პატიმრობის სიმძიმე, რომელსაც ცილი დასწამა სტოლიპინის წინაშე ცნობილმა ი. ვასტორგოვმა. რომ მიტროპოლიტი ანტონი არ გამოქომაგებოდა, რომ სიმართლის მოყვარე მიტროპოლიტ ფლაბიანეს, რომელიც დაახლოებით იცნობდა უანგარო ეპისკოპოსს, კარგი ცნობები არ შეეცა, და აგრეთვე თბილისის პალატის პროკურორსაც, არ აღმოეჩინა პროვოკატორული მოქმედება თბილისელ ცრუ პატრიოტთა, ყოვლადსამღვდელო კირიონს საფლავში ჩაიყვანდნ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ საქირო შეიქნა, არა თუ ყოვლადსამღვდელო დავითი, არამედ

ყოვლადსამღვდელონი ლეონიდე და კირიონი დაგვიმოწმებენ, თუ როგორ უდიერათ ეპყრობა კირიონოკენტი ქართველ ეპისკოპოსებს და სამღვდელოებას და ეზიზდება მას საქართველოს სამწყსო.

აგრეთვე არ გაჩუმდება ყოვლადსამღვდელო გიორგი, შეიწროებული ექსარხოსისაგან ეპარხიის მართვა გამგეობაში, ის ხომ მტერი და გამცემი არ არის თავის ხალხის და ეკლესიისა.

ჩვენ არ ვიცით, რა ინსტრუქციებს დებულობს უ. ექსარხოსი საბლერისაგან, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ ინსტრუქციებს მიზნათ არ ექნებათ ერთმანეთს გადაკიდოს ორი ერთმორწმუნე ერი, რომლებსაც მთელი საუკუნე ერთად და მეგობრულათ უცხოვრიათ.

რაც შეეხება იმას, რომ ეპ. დავითი არ გამოთხოვებია ექსარხოსს, გასაცვიფრებელი იქნებოდა ისეთ მწყემსთაგანის გამოთხოვება, რომელიც დღემუდამ მტრულ განწყობილებას გამოაჩინებს ქართველ სამწყსოსა და სამღვდელოებისადმი, რომლისთვისაც არაფერი ძალა არა აქვთ, არაფერს ნიშნავენ საღვთო კანონები. ასე რომ არ ყოფილიყო კირიონოკენტი არ მიიღებდა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის მართვა-გამგეობას, რომელიც (ეკლესია) არ ემორჩილება რუსეთის სამღვდელოებას, და თვის წინამოადგილეების ექსარხოსების მაგალითს მიბაძვდა—ნიკოლოზს, რომელმაც, ახსოვდა რა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა მას მწყემსთ-მთავრისათვის, უარი განაცხადა საქართველოს ექსარხოსობაზე, აგრეთვე ნიკონს, რომელიც, როგორც პროფესორი ცაგარეული მოწმობს, უარს აცხადებდა ექსარხოსობაზე და პროექტი მიჰქონდა პეტერბურგში ექსარხოსობის მოსპობის თაობაზე.

უკანასკნელ კირიონოკენტიმ უნდა იცოდეს, რომ არც ერთ საეკლესიო მართველობას არ შეუძლია ეპისკოპოზი ერთი ეკლესიიდან მეორეში გადაიყვანოს და რომ ამისთვის საჭიროა ეპისკოპოსმა მიიღოს დათხოვნის გრამატა თავის ეკლესიისაგან მეორე ეკლესიაში გადასახლელათ, ხომ არ უბრძანებს კირიონოკენტი

კანცელარიის მმართველს უარყოს საღვთო კანონებიც, რომლებიც უკძალავენ ერთ ავტოკეფალურ ეკლესიას თავის სამკვეთლოები დასდგან სხვა მსგავს ავტოკეფალურ ეკლესიებში?

დურნოვო.

ცხოვრება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა.

შესავალი.

ჩვენ, ქართველები, რომ დღეს ქრისტიანები ვართ, უწინ ასე არ ვყოფილვართ, წინეთ ჩვენ წარმართნი ვიყავით და ცრუ ღმერთებს ვემსახურებოდით. ჩვენი წარმართობა ძლიერ მრავალ-ფეროვანი იყო. მას ემჩნეოდა კვალი სხვადასხვა მეზობელ ერების რელიგიური რწმენისა და კულტისა, ბაბილონელებისა, ასსირიელებისა, მიდიელებისა, სპარსებისა, ფინიკელებისა, ეგვიპტელებისა, ბერძენებისა და რომაელებისა, ეს გავლენა იქიდან წარმოსდგა, რომ ქართველი ერი ძლიერ დიდ-ხნოვანი ერია და წინეთ ამ ერების მეზობლათ ცხოვრობდა და მათ კულტურულ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ იყო. აქედანაა, რომ ამ ერთა გავლენა აჩნევია არა მარტო ქართველი ერის წარმართობას,—მის ენასაც, ლექსიკონსაც, მწერლობასაც და უფრო ზეპირ სიტყუაობას, ე. ი. ხალხურ პოეზიას. დღემდე ბევრია ჩვენში დარჩენილი ზღაპრული თქმულება აღმოსავლეთიდან შემოტანილი და ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნილი, გადამუშავებული და გადაქართულებული. ასეთია მაგალითად, თქმულეზანი დევებზე, არმაზზე, ამირანზე, როსტომზე, ზურაბზე, ბეჟანზე და სხვა.

ძველი სამშობლო ჩვენი.

ქართველები უწინ ბევრად უფრო სამხრეთისკენ ყოფილან მოსახლე. მათ სქერიათ (რომელიც ბოლოს სომხებმა წაართვეს ვანის ქალაქის მიდამოები მათ), ძველი პონტი და კაპადოკია, არარატის მთების მიდამოები, ყოფილან მესაზღვრე-მეზობლები ბა-

ბილონისა და ნინევისა, რქმევით სახელად ურარტელები, ალაროდელები, მოსოხები, მუსკები, ქალდეელები, მაკრონები და სხვა. მათვე ჰქონიათ აქ აყვავებული კულტურა, გამოუგონიათ წერის ნიშნები, ლურსმული ასოები, რომლითაც არის ნაწერი ვანის წარწერანი, აღმოჩენილნი, მე 19 საუკუნეში და აღიარებული სპეციალისტებისაგან ქართულ წარწერებად.

ბრძოლა და კავშირი მეზობელ ერებთან.

ეს ამბები უშუველეს დროს ეკუთვნის, 20—7 საუკუნოებს ქრისტეს წინ. მხოლოდ მე 6—4 საუკუნოებში ქრ. წინ ქართველებს დაუწევიათ ჩრდილოეთისკენ და თან-და-თან მოახლოებიან ჯერ პონტის ზღვის სამხრეთ ნაპირებს, მერე ერთი შტო წამოსულა ზემო ქართლზე და დაუსახლებია მტკვრის ნაპირები, მერე კოლხები, მოსოხები ანმუშეები, მაკრონები ესლანდელ ბათუმ-ფოთ-სამეგრელოსკენ და დაუსახლებიათ ფაზისის, ანუ რიონის მიდამოები.

სანამ არარატის ახლოს იდგნენ, ქართველებს მუდამ ჩხუბი ჰქონიათ ასსირიელებთან და ბაბილონელებთან, ხშირად მათს უღელქვეშაც ყოფილან და ხარკი უძღვევიათ მათთვის. მაგალითად ქართველებს ჰქონიათ ომები ასსირიის მეფეებთან: თვით ნიმეროდთან, სალმანასარ მეორესთან, მესამესთან და მეოთხესთან, სარგონთან, ტიგლათფელასართან, ნინთან და მის მეუღლე—სემირამიდასთან. ხშირად ქართველი ქაბუკები ამშვენებდნ ასსირიელების ძლევამოსილს ჯარებს და თვით მეფის სასახლეს. აქ ისინი ჯარის სარდლებადაც და მინისტრებადაც ყოფილან არა ერთხელ. თვით ძველი საქართველო სემირამიდას დაუპყრია ჩვენი მცხეთელი მამისახლისის შვილის ზაპირის წინამძღოლობით. მასვე აუშენებია ქალაქი ვანი.

როცა ბაბილონი გაძლიერდა და ნინეია დაეცა, ანუ ბაბილონი დაემორჩილა, ასეთივე კავშირი გაისკვნა ბაბილონსა და საქართველოს შორის, ე. ი. ქართველები ეომებოდნ ბაბი-

ლონის მეფეებს, ემონებოდენ არა ერთხელ მათ, მონაწილეობდენ ნაბუქოდონოსორის ძლევამოსილ ომებში ეფრატის არე მარეში და პალესტინაში, მათი მონაწილეობით დაუქცევია ნაბუქოდონოსორს იერუსალიმის ქალაქი, წაუსხამს იუდეელები ბაბილონის ტყვეობაში და ურიცხვი ებრაელი გადმოუსახლებია საქართველოში. ეს ამბები ეკუთვნის 7—4 საუკუნოებს ქრისტეს წინ. ურიები ნაბუქოდონოსორისგან შეშინებულნი, მისულან მცხეთის მამასახლისთან და უთხოვით სამოსახლო ალაგი. მისაც შეუწყნარებია იგინი და დაუსახლებია მდინარე არაგვის ნაპირებზე. ამ ადგილს შემდეგ „ხერკი“ დაერქვა, რადგან ურიები „არენდის“ ფასს, ანუ ხარკს იხდიდენ.

დასცა თუ არა ბაბილონი სპარსეთის პირველმა მეფემ კვიროსმა, ქართველებიც დაიმორჩილა მან. ახლა გაისკვნა კავშირი ქართველებისა სპარსებთან და ცხოვრებაშიაც ახალი მიმდინარეობა მიიღო. ქართველები ამშვენებენ სპარსეთის ჯარებს და ერთათ მათთან ომობენ ასირიელებთან, ბერძნებთან, ლიდის მეფე — კრეზთან, სკვითებთან. დარი გისტისპმა, სპარსეთის მეფემ, რომ თავისი სამეფო 120 სატრაპიით დაჰყო, საქართველო მე 18 და 19 სატრაპიად იქმნა აღიარებული.

მღ. მ. კელენჯერიძე.

შემდეგი იქნება

ყოვლადსამღვდელო ღვთისმეტყველის მოკ სპარსეთის სამეგრელოს ეკლესიების წესდართულებად.

დასასრული.*

აბედათელებისთვის უსათუოდ შესაფერა აღაგს უნდა გაკეთდეს ახალი ეკლესია, თორემ დღევანდელი გარემოება არაფერ სულიერ სიკეთეს არ უქადის მათ. ყოვლადსამღვდელომ მამა ბლალოჩინს დააეილა ამ საქმეზე ბეჯითი ზრუნვა და იმედია, საზოგადო საქმისთვის თავს გამოიდებს უკანასკნელი. მაგრამ ან ბლალოჩინმა რა ქნას, როდესაც მას არ უდგანან იდეოლოგიური მღვდლები, ზოგნი, სრული შეუგნებლობის გამო და ზოგნიც იმიტომ, რომ

*) იხ. ნიშ. საქ. № 22.

საზოგადო საქმის გარიგებით მათ დაევალებათ ხშირი წირვა-ლოცვის შესრულება და ეს კი წაართმევს მათ იმ დროს, რომელსაც ეხლა თავისუფლად ანდომებენ საკუთარ ოჯახებზე ზრუნვას. სამწუხაროდ, სწორეთ ასე სდგას საქმე სოფ. აბედათში.

ყოვლადსამღვდელოს შემთხვევა ჰქონდა წინა წლებში ენახა ს. ჯოლევის წმიდა გიორგის ეკლესია. იგი მთლად დაძველებული და შეუფერებელი იყო. მისმა მეუფემამ მრევლს დააეილა ეკლესიის გადაკეთება და, ღარიბი სოფლის კვალობაზე, არა უშავს რა.

ამგვარივეა ს. ჯოლევის ჯვარცმის ეკლესიაც.

ს. ლებალათურეს ეკლესია ქვეთკირისაა, მაგრამ კანკელის მაგივრათ გამტინრულია უბრალო ფიცრებით, აღსავლის კარებად ჩამოკიდებულია ფიცრის კარები ჩითივით აქრელებული წითელ-ყვითელი ფერადებით ხატების მაგივრათ. არც წმინდა ტრაპეზზე, არც სამკვეთლოზე არ მოიპოვება არავითარი სამკაული. ხალხს გაბრთხილება მიეცა, თუ მოკლევ დროში ეკლესიას შესაფერისად არ შეაკეთებთ, იგი დახურული იქნება ღვდელმოქმედობისთვისო.

ამითი დამთავრდა ნაქალაქევის საბლალოჩინო ოლქიც, და ეპისკოპოსი წაბრძანდა ხოპის მონასტერში.

არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ. რომ სამღვდელოების მომეტებულმა ნაწილმა არ იცის მღვდელმთავრის მიღება. იმ დროს, როდესაც მათ უნდა გამოიჩინონ სიღინჯე, და დარბაისლობა, დამფრთხალი ცხერებივით დაფარუტობენ ეკლესიაში და რას სჩადიან, არ გაეგებათ.

შეგვიწყალენის თქმაში სიტყვებს აკლებენ და ამახინჯებენ, ჩამოლოცვა ბევრს სრულებით არ ეხერხება და სხვა.

ბევრგან მედავითნეები და მნათეები თავისუფლად მიდიან წმ. კრაპეზთან და იღებენ იქიდან ჯვარს, სახარებას, ანთებენ სანთელს და სხ. ეს დიდი დანაშაულია მღვდლების მხრით და მისი შეუფება სასტიკათ სჯიდა იმერეთში ყოფნის დროს იმ მღვდლებს, რომლებიც ავა-

ლებდნენ მედავითნეებს სიწმიდის შეხებას. იყო, მაგალითად, შემთხვევა, რომ ერთი პატივცემული ბლალაოჩინი მთელი თვით გაგზავნილ იქმნა მონასტერში იმის გამო, რომ მედავითნესთვის გამოეტანებია წმიდა მირონის ქურქელი და მისვე ხელით უნდოდა მიღება მღვდელმთავრისაგან ახალი მირონისა.

ასეთმა სისასტიკემ კეთილი ნაყოფი გამოიღო და ბევრნი გამოაფხიზლა.

ჩვენი უკუდავი მგოსანი აკაკი დიდებულ ხოპის მონასტერსაც შეხებია თავის ცნობილ მოთხრობა „ნათელა“-ში და სწორეთ ისე მომჯადოებელად გვისურათ-ხატებს მონასტრის მდებარეობის სიკეკლუტეს, როგორც მის ზეგარდამო მაღლით ცხებულ კალამს შეჰფერის და მოეთხოვება. გულწრფელად ვურჩევთ ყველა მკითხველს გაეცნოს „ნათელა“-დან ამ აწერილობას და დასტუტებს პოეტური უებრო სურათით. ჩვენის მხრით, აკაკის ქმნილების შემდეგ, ხოპის მდებარეობის დახასიათება, კანდიერება იქნებოდა, ამიტომ ამაზე კრინტსაც არა ვძრავთ.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის მკოდნენი ხოპის დაარსებას მეთუ საუკუნის წინა დროს აკუთნებენ. ხსენებულ მონასტერში ასვენია მეთუ საუკუნის ქართული ხელოვნების ხატები და ისეთი ფასდაუდებელი ნაშთი, როგორც არის დიდებული თამარ დედოფლის გულზე საკიდი ჯვარი.

ხოპის მონასტერს აბრწყინებს კვართი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, მთელი მარჯვენა მკლავი ხელიანა ქალწულმოწამე მარინესი და მარცხენა ხელი წმ. მოწამე კვირიკესი.

მლოცველების სიმრავლით ხოპს ვერც ერთი ეკლესია და მონასტერი ვერ დაედრება სამეგრელოში. ამ საეანის დღეობა იგივეა მეგრელებისთვის, რაც მოწამეთობა იმერლებისთვის, ალავერდობა კახელებისთვის, და გერისტობა ქართლელებისთვის. მიძინებამდე ჯერ ისევ ერთი კვირის წინ წყობილობს ხალხი დენას და თვით მიძინებას იმდენი მლოცველები გროვდებიან, რომ ტევა აღარაა ხოლმე მონასტრის შიგნითა და გარეთ გალაფანში.

თითქოს უსასო, ღმობიერებას და სარ-

წმუნობრივ გრძნობის სიცხოველეს მოკლებული მეგრელი, ძნელი საცნობი ხდება ხოპის ღვთისმშობლის ხატის წინ.

შესდგამენ თუ არა ფეხს მონასტრის ეზოში, თითქმის ყველანი დგებიან მუხლის თავებზე და ასე დაჩოქილები მიდიან ეკლესიამდე, ხოლო ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის წინ, ისე მხურვალეთ ღოცულობდენ და იმოღენა კრემლსა დგრიან, რომ სწორეთ საოცარია, ვინ მისცა ამ გარეგნულთ გაუხეშავს და მკირე მორწმუნე ხალხს ამ ზომის გულის შემოსვრილება და სინანულის შეგნება!

ჩვეულებისამებრ, დღეობისთვის წელსაც დიდძალი მლოცველები შეგროვდნენ. მლოცველების სიმრავლეს, სხვათა შორის, საამო დარიც ხელს უწყობდა.

ღამისთევეთი ღოცვა და დაუჯდომელი, აგრეთვე მეორე დღეს წირვა და პარაკლისი შეასრულა ჩვეულებრივი ღმობიერებით, მისმა მეუფებამ მონასტრის კრებულის მონაწილეობით. პარაკლისის დაწყების წინ შემოსილმა ბერებმა დასდგეს შუა ეკლესიაში თავ ახდილი „ლარნაკი“, რომელშიაც ასვენია ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის კვართი, წმ. მარინეს მკლავი და კვირიკეს ხელი. ხალხის დასანახავად გახსნილ ნაწილების წინ მისმა მეუფებამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ქრისტეს მიერ საყვარელნო, ჩემო სულიერო შეიღებო! უაღრესი სიხარულით ვივსები და სულიერი სიამოვნებით ვტკუბები, ამ თქვენს დიდებულ შეკრებილებას რომ ვხედავ. მუშაობისა, მოუტლელობისა, წლის მოსაელის მოწევის დროს დიდსა და პატარას მიგიტოვებიათ სახლ-კარი და მოსულხართ ამ წმ. ალაგს, რომ თავიანი სკეთ, მაღლობა შესწიროთ, მაღლი და კურთხევა გამოსთხოვოთ და თქვენი თავი ჩააბაროთ ჩვენს ზეციერ მფარველს, ჩვენს მეოხს, უძლეველ მკველს, ჩვენს ნუგეშს და იმედს, ჩვენს დიდებას, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს.

ესეთი სიყვარული ყოვლად წმიდა მარინისა, ესეთი ხსოვნა მისი სახელისა, ამოღენა სასოების დაღება მახე, ცხადი საბუთია თქვე-

ნი ქრისტიანობისა, თქვენი მორწმუნეობისა, თქვენი ღვთისწილობისა და ეს კი დიდად გასახარებელია შეგნებულთა კაცისათვის, რადგანაც, თუ კი ხალხი მორწმუნეა, თუ ხალხს ესმის და უყვარს ქრისტიანობა, იგი საღია სულით, მას ვერაფერად გარეშე ძალა ვერ გადაადგებს ცხოვრების გზიდან და ყველა განსაცდელს ჰსძლევეს, ყველა გაქირვებას გაუძლებს, ცხოვრების მკაცრი ქარცეცხლი მას მხოლოდ გაასპეტაკებს, უფრო აამაღლებს და მეტს ზნობრივ ძალას შესძენს...

ჩვენ, ქართველები, სხვა ქრისტიანებთან შედარებით განსაკუთრებით მოვალენი ვართ მეტად გვახსოვდეს, მეტად ვაფასებდეთ, მეტს პატივს ვცემდეთ და ერთგულებას უწყევდეთ ღვთისათვის. ამ ქრისტიანეთა საერთო მოსიყვარულე დედამ თავისი მზრუნველობის მახლობელ საგნად გაიხადა ჩვენი ერი და სამშობლო. ძველი-ძველთაგანი გადმოცემით ვიცით, რომ, როდესაც იესო ქრისტეს მოციქულებმა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა წილი იყარეს იმის შესატყობად, თუ ქვეყნის რომელ კუთხეს არგუნებდა თვითიველ მათგანს განგება გასაქრისტიანებლად, საქართველოს მოქცევა წილად ხვდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს.

მართალია, თითონ დედა ღვთისა აო მობრძანებულა პირადათ ჩვენში ქრისტიანობის საქადაგებლად, ჩვენი სუსტი გონება ვერ მისწვდება და ვერ გაიგებს, რატომ მაცხოვარმა იესო ქრისტემ ნება არ დართო თავის მშობელს ივერიაში წამოსვლისა, რატომ უბრძანა მან საქართველოში თავის ბაღლად ანდრია მოციქულის გაგზავნა, მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ ანდრია მოციქული საქართველოში მოქმედობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დახმარებითა და შეწევნით. ყოვლადწმიდა მარიამმა პირისახეზე მიიღარა ფიცარი და მანვე გადავიდა მისი გამოხატულება. აი ეს თავისი ძვირფასი ხატი მისცა მან ანდრიას, როცა იგი მოემგზავრებოდა საქართველოში და უთხრა: „მაღლი და შეწვენა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მავას და

დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხვედრებულსაო“.

შესრულდა ღვთისმშობლის დაპირება: ანდრიას ქადაგებამ ფეხი მოიკიდა ივერიაში, სისხლდაუღვრელად და დევნულების განუცდელად კიდითი კიდემდე მოეფინა საქართველოში სახარების სწავლა და იქამდინ მივიდა საქმე, რომ სიწმიდეთა სიმრავლით ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანა თითქმის მეტოქად გაუხდა ქრისტიანობის აკვანს—იერუსალიმს. აგერ თქვენ თვალწინ ასვენია კვართი, ანუ პერანგი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა, ნიეთი, რომელიც ჰფარავდა ღვთისმშობლის უნეტარეს ხორცს, რომელიც ენებოდა ქერუბინთა უპატიოსნების სხეულს. ამისივე მსგავსი სიწმიდე, კვართი უფლისა იესო ქრისტესი, მოქსოვილი ღვთისმშობლის წმ. თითებით, ასვენია მცხეთას მირონმადინებელ სვეტქვეშ, საქართველოშივეა დიდი ნაწილი იესო ქრისტეს პატიოსანი სისხლით გაწმენდილი ჯვარისა, ლურსმები, რომლებითაც მიმსჯეალულ იყო ქრისტე ჯვარზე და ესეთი ნაწილები უთვალავ წმიდანებისა, როგორცა ხედავთ საკუთარი თვალით. სამეგრელოს დიდება და მშვენიერება—მარტივლი ქართულად ნიშნავს წმ. მოწამეს და ესეთი სახელი დარქმევია მას ბერძნებისაგან იმისგანაო, რომ იგი მთლათ ავისილი ყოფილა წმ. მოწამეების ნაწილებით. ამგვარად ჩვენი ქვეყანა შეიქმნა წმ. ნაწილებისა და საღმრთო საგანთა ლუსკუმად, სავანედ, სალაროდ... ყველა ეს მოხდა ღვთისმშობლის მეოხებითა და დახმარებით. სიწმინდავე არასოდეს არ გროვდება იქ, სადაც ერი მიმდევარია ბიწიერი ცხოვრებისა და დაცემული ყოფაქცევისა.

ღმერთი წმიდათა შორის განისვენებს და რაკი, როგორც აღვნიშნეთ, ღვთისმშობლის მეოხებით, ჩვენი ქვეყანა წმიდანების ბანაკად ვახდა, ღმერთიც განსაკუთრებით ჩვენში განისვენებდა, ღმერთიც, ქვეში მყოფთა მისახვედრად და საგრძნობელად, ცხადაც იცავდა და ჰფარავდა ჩვენს ერსა.

სიწმინდე, რომლითაც ღვთისმშობლის მეოხებით აღივსო ჩვენი სამშობლო, შეიქმნა ამ

ქვეყნის ზღუდვად, სიმაგრედ და ძალად; ამ საღმრთო ძალამ შთაჰბერა ჩვენს ერს ისეთი მძლავრი სული უძლეველი გამირობისა, რომ საუკუნეთა განმამავლობაში მტვერივით იბერტყავდა თავისზე ათასჯერ მძლავრ და მრავალრიცხოვან მტრებს და თითონ ყოველთვის გამარჯვებული, მხნე და მოქმედების ძალით აღვსილი რჩებოდა. ჩვენი მამა-პაპა გრძნობდა ამ საღმრთო ნაშთების დიად მნიშვნელობას, იგი საკუთარი თვალის გუგასავით უფრთხილდებოდა ამ სიწმიდეს, ჩვენი ძველები იყვნენ ღრმათ მორწმუნენი, ღვთის ჰოშიშნი, წმინდა ცხოვრების და მაღალი ზნეობის მიმდევარნი, რადგანაც იცოდნენ, რომ ბიწიერი ცხოვრება მოაკლებდა მათ ღვთის ყურადღებას და წმინდანების მეოხებას, წმინდანების დახმარებას და ლოცვას წინაშე ღვთისა.

ასეთი სარწმუნოებით და ცხოვრების საშუალებით შეინარჩუნეს მათ თავიანთი მიწაწყალი და ეროვნება.

ღღეს მამა-პაპის ალაგი გვიკავია ჩვენ, თუ ჩვენ ჩვენი ძველების მტკიცე სარწმუნოებისა და მაღალი ზნეობის მიმდევარნი ვიქნებდით, თუ ჩვენც ისეთი სასოება და სიყვარული გვექნება ღვთისმშობლისა, როგორც ჩვენს მამა-პაპას, მაშინ დედა ღვთისა არაფრის გულისთვის არ გაგვწირავს მის წილხდომილ ერს, ჩვენი ცხოვრებაც ისეთი უშიშარი და სახელოვანი იქნება, როგორც ჩვენი წინაპრებისა და ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ერს სამუდამო მკველად და დარაჯად ეყოლება ისევ ისე დედა ღვთისა.

სარტყელ შემოხსნილ და ფოლაქებ აღლეჯილ კაცს მძლავრი ქარი ტანზე სამოსელს არ შეარჩენს და ჩქარა მთლად გააშიშვლებს. ჩვენი ეროვნული სიმტკიცის სარტყელი სარწმუნოებაა, ჩვენი ცხოვრების გამამაგრებელი ფოლაქები ამ წმინდანების ნაწილთა სიყვარულია. სანამ ყოველად წმ. ღვთისმშობელის დედობრივ კალთის ქვეშ ვიქნებით, იცოდეთ და გწამდეთ, მანამდინ ღმერთიც თავის წმინდანებთან ერთად ჩვენ შორის იქნება. იყავნ, იყავნ! ამინ.

წარსულ წლებში მისი მეუფების განკარ-

გულებით ხოპის ეკლესია და სამრეკლო თუნუქით იქმნა გადაქედლილი. ეხლა, როგორც გადმოგვცეს, ყოვლადსამღვდელოს განზრახვა ჰქონია, თუ ნივთიერმა სიღარიბემ არ დააბრკოლა, ძვირფას ხატებს, ყოველად წმიდა ღვთის მშობლის კვართს და წმიდა მოწამეების ნაწილებს „ლუსკუმა“ გაუკეთოს და შიგ მოათავსოს ყველა ეს განძი, რომ მტვერმა და შეუფერებელმა ხმარებამ ხელიდამ არ გამოგვატალოს იგი სამუდამოდ.

N.

უძვირფასესო, მსცოვანო ჰედგოგო, იაკობ სვიმონისძე!

იწყება უკანასკნელი საათი, როდესაც მაღლიერი ქართველი ერი უნდა გამოეთხოვოს შენს ძვირფასს ნაშთს. დიდებულია სამსახური სახალხო გამირობისა, რომელმაც მამულის, სარწმუნოების და ეროვნების მტრებთან მრავალბრძოლაში ისახელა თავი. ძვირფასია ხვედრი მგოსნისა (პოეტისა) და საზოგადოთ გამოჩენილ მწერლისა, რომელსა თავისი ერის სასახელოთ შეუქმნია, რომელიმე თხზულება. სასიქადულოა მეცნიერის კვლევა-ძიება და აღმოჩენა ბუნების საიდუმლოებისა. წმიდაა სამსახური სულიერი მოძღვრისა, რომელიც თავდადებულათ ემსახურება. ხალხში სარწმუნოებისა და კეთილ ზნეობის განმტკიცებას. მაგრამ უუდიდებულესია, უუძვირფასესია, ძლიერ სასიქადულოა და უუწმიდესია შრომა და ღვაწლი ყმაწვილების გონიერი ხელმძღვანელისა, შეგნებული ჰედაგოგისა, რომელიც ზემთაბერილ ნიქთ აღვივებს, არკვევს, აცხოველებს, წვრთნის, კეთილად ანაყოფიერებს მათში და ამნაირად უმზადებს კერძოთ თავის ერს და საზოგადოთ მთელ კაცობრიობას მრავალ თავდადებულ მეომართ, სხვადასხვა მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის დაუღალავ მუშაკს, სარწმუნოებისა და კეთილზნეობის უანგარო მსახურს და სხვადასხვა ასპარეზზე მომქმედს სასარგებლო პირებს. ქეშმარიტათ ეგვთი აღმზრდელი იყავი შენ, საუკუნოთ დაუვიწყარო, ძვირფასო ია-

კობ სვიმონისძე! შენით ამაყობს მაღლიერი ქართველი ერი, შენით თავი მოსწონს ქართველ სამღვდლოებს, რომლის ოჯახშიდაც შენ დაიბადე. შენით კეთილად იხსენიება სასულიერო შკოლა, სადაც შენ გაიფურჩქნე. შენ თვალსაჩინო ადგილს მოგიჩენს პედაგოგია თავის საზოგადო ისტორიაში, რადგანაც მუდამ ქადაგებდი და უკანასკნელ წუთამდის საქმიანად ემსახურებოდი იმ ქეშმარიტებას, რომ მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზე აღზრდა-განვითარებას შეუძლია კეთილი და უხვი ნაყოფის მოტანა კაცობრიობისათვის; ამიტომ შენი ქვეყნის, შენი სამშობლოს ერთი კუთხის, იმერეთის ებარქიის სამღვდლოების თვითეული წევრი თავთავის ეკლესიაში და ჩვენ აქ მისი წარმომადგენლები მთელი საქართველოს ყველა წარმომადგენლებთან ერთად შენს ძვირფასს გვამთან ვლოცვილობთ დღეს და მუდამ ვილოცავთ ღმთის წინაშე შენი სულის განსვენებისათვის იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მშვიდობით, დიდებულო მასწავლებელო, საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი! *)

დეკ. ივლიანე აბესაძე.

ს ი ტ ე ვ ა

თქმული იაკობ ს. კოტეხაშვილის კადასტრალუბის კამო.

სიკვდალო! სად არს საწერტელი შენი? ჯოჯოხეთო! სად არს ძლევა შენი? (წინასწ. ოსია XIII, 14)

აი გულის სიღრმიდგან ამონაკენესი სიტყვები ცხოვრების უკუღმართობით გამწარებული სულისა! აი, ასე გულსაკლავათ ეკამათება უღმობელ სიკვდილს, ასე თავგადმოდებით ებრძვის ჯოჯოხეთურს სიცოცხლეს ჩაგრული

*) ეს სიტყვა წარმოთქმულ იქმნა თბილისის ქვაშვეთის ეკლესიაში წესის აგებაზე, სახარების წაკითხვის შემდეგ, იმერეთის სამღვდლოების წარმომადგენელის დეკ. ი. აბესაძის მიერ 10 ივნისს 1912 წელს.

ერის ჩაგრული შვილი წინასწარმეტყველი ოსია. ამბობენ, თუ ცხოვრება ბრძოლაა და თუ მართლა კი ის ვინმესთვის ბრძოლაა, მით უმეტეს ჩვენთვის, ქართველებისათვის. ბრძოლისაგან ქართველ ხალხს, ვგონებ, ერთი დღე რა არის არ მოუსვენია. ის მუდამ ბრძოლაში იყო გამბული, თუ გარეთ, თუ შინ; მტერიც აურაცხელი მას გარს ეხვია. ქართველს ერთ ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში ხრმალი, ერთში თოხი, მეორეში თოფი; მუშაობდა და იქვე თოფი ეკიდა, მზათ იყო სამშობლოს დასაცველად, მტრის მოსაგერებლად. საქართველოს ისტორიას, რო კითხულობ, ასე გგონია თუ მოწამეთა ცხოვრებას კითხულობ. თვალწინ გეშლება თავგანწირული ბრძოლა, ბრძოლა სამშობლოსათვის, დაუსრულებელი სისხლის ღვრა ეროვნულ თვითარსებობისათვის, შეუპოვარი ქლეტვა-ხოცვა სარწმუნოებისათვის. ეს სამი ცნება: სამშობლო, სარწმუნოება და ეროვნება, ისე შექსოვილ-შედულებული ჰქონდა ჩვენ ერს, ერთმანეთში რომ ვერ არჩევ თუ სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. ის ვერცერთს მათგანს ვერ ელეოდა და ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ მუდმივ ბრძოლით მოქანცული და სამეფო გვარეულობის წვერთაშორის შუღლისა და განხეთქილების გამო იძულებული საქართველო, სპობს რა თავის და მოუკიდებლობას, თავის პოლიტიკურ არსებობას, ისევ თავის ერთ მორწმუნე ერს რჩეობს, თავი შეაფაროს იმ იმედით, რომ უცვლელად დაიცავს თავისს ეროვნულ სახეს. მაშინ კი ცოტა შეისვენა, ცოტა მიირულა დალილი, დაქანცული; ეგონათ თუ მოკვდაო, მაგრამ, როგორც კი წასრული საუკუნის სამოციან წლებში ცხოვრების პირობები შეიცვალა, ის, თითქმის მკვდრეთით აღდგაო, ფენიქსებრ განახლდა და ვნერგიულათ შეუდგა ცხოვრების განახლებას, გავერობიელებას. ცხოვრება ახლა კიდევ ითხოვდა მისგან ბრძოლას, მაგრამ ბრძოლას უფრო დინჯს დარბაისლურს, გონერულს. ახალმა მოქალაქობრივმა ცხოვრებამ ბრძოლის ახალი საშვალეება შექმნა. ბრძოლიდგან გამარჯვებული კი ის გამოდის, ვინც ღროს

შესაფერის იარაღს ისხამს, დროს შესაფერის იარაღს ხელში იღებს. ახალმა მოქალაქეებრივმა ცხოვრებამ ახალი გმირები გამოითხოვა, ახალი გმირები შექმნა და გამოიწვია სამოქმედოთ. ვის არ ახსოვს მაღლიანი სიტყვა-მოძღვრება სულმნათის გაბრიელ ეპისკოპოსის, მაღალი იდელებით აღსავსე პოეზია ილიას და აკაკის, მტრის გულის გამგმერი, მკვეთრი გესლიანი კალამი ნიკო ნიკოლაძის, დალოცვილი ქველმოქმედი მარჯვენა დავით ზ. სარაჯიშვილის, პედაგოგიურ ასპარეზზე თავგამოდებული მოღვაწეობა იაკობ სიმონისძის გოგებაშვილის და სხვ. მაგრამ უღმობელი სიკვდილი თითქოს კრიკაში გვიდგას, თითქოს შეშურს ჩვენი წარმატება. სიკვდილის ანგელოზი მობასრული ცელით თავს დაგვდგამია და დღითი დღე ხელიდგან გვაცლის სულ ახალ ახალ მოღვაწეს, ერთის საფლავი არ გაგვცივებია მეორე გვიხდება სატირლად. დღეს კიდევ, ისედაც პატარა ჯგუფს ჩვენი ქვეყნის მოამაგეთა, ისედაც პატარა რაზმს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლთ, გამოაკლდა კიდევ ერთი მოქირანახულე, კიდევ ერთი მოამაგე. აღარა გვყავს ჩვენი სასიქადულო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ სიმონისძე გოგებაშვილი!

განსვენებულმა მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ძალ-ღონე ჩვენ საერთო საქმეს, ჩვენი სწავლა-აღზრდის საქმეს შეაღია. ჩვენთვის დასთმო მან თავისი პირადი სიამოვნება, თავისი პირადი სარგებლობა. მან დაუტევა მამა და დედა, ცოლი და შვილი, — თფილი ადგილი და სასწავლებელის ზედამხედველობა, სამსახურში წარჩინება და დაწინაურება და შეუდგა სამშობლო ქვეყნისათვის ზრუნვას. მისი დედ-მამა სამშობლო იყო, მისი შვილები ჩვენ. მან გვასწავლა ჩვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა, ამოგვადგმევინა ენა, სიყრმითვე ჩავგინერგა გულში დედა-ენის სიყვარული, მისი სახელმძღვანელოები კიდევ დიდხანს გვექმნებიან მის მაგიერ მასწავლებლად და არა ერთსა და ორ თაობას ადგილზედ იან ჩვენ. მისი სწავლების მეთოდი კიდევ დიდხანს დაიჭერს უპირველეს ადგილს რაციონალურ პედაგოგიაში. მას არა სწამდა პოლიტიკა სწავლა-აღზრდის საქმეში, შკოლაში. ამისათვის იბძოდა ის მთელ თავის სიცოც-

ხლეში და თითქმის კიდევ განსდევნა შკოლიდგან სხვა და სხვა უხამსი და ჩვენთვის შეუფერებელი მეთოდები. ის ცალი ხელით ამყნიდა ნორჩ ვაზს, მეორეთი იბრძოდა მისი არსებობისათვის, თუ სიტყვით, თუ საქმით. ამიტომ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი პერიოდული გამოცემა ჩვენში არც ქართული და არც რუსული, რომ მას მონაწილეობა არ მიეღოს და ხშირად, როცა ეს სჭირო იყო, სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებშიდაც ათავსებდა თავის წერილებს ამა თუ იმ საჭირობოროტო კითხვების შესახებ და შეუსმენლთ ასმენდა, ურწმუნოთ არწმუნებდა, რათა სამშობლო ერი დაეხსნა გადაშენება-გადაგვარებისაგან. იღწოდა არა მარტო რაციონალური მეთოდით სამშობლო ენაზე საგნების სწავლების შესახებ, არამედ მისს საშეალებათედაც, მისს განხორციელებათედაც. რომ უფრო ფართოთ გავერცელებია ხალხში სამშობლო ენაზე სწავლა-განათლება, ამისთვის მან, სხვა ჩვენ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, დაარსა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც განსვენებულმა უანდერძა მთელი თავისი ქონება, რაც კი რამ გააჩნდა უკანასკნელ წიგნაკამდის. ამ საზოგადოებაში ის უკანასკნელ დღემდის მხარში უდგა და ამშვენებდა ჩვენ სახელოვან საზოგადო მოღვაწეთ. მართალია დღეს ის მოკვდა, მაგრამ საქმენი მისნი ცოცხალ არიან, ხსოვნა მისი დაუფიწყარია ჩვენ გულში. ის ერთი იყო, მაგრამ მან სხვა არა ერთი და ორი დაგვიტოვა ჩვენ, რომელნიც იღწვიან მის ნაშრომ, მის ნაამაგებ საერო ყანაში. ესენი შეიძლებენ მის მოციქულობას ერის წინაშე. ამ იმედით ის დღეს სამუდამოთ გვშორდება და ჩაეკონება გულში სამშობლო მიწას.

კეთილ არს გზა, რომელსა წარმართებულხარ, ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო, ბ. იაკობ სიმონისძევ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ იქ, სადა განისვენებენ შენ საყვარელ სამშობლოსათვის შენებრ თავდადებულნი მამულიშვილნი. — ამინ.

დევანოზი ვ. დოლაბერიძე.

კრიტიკა

ექატერინე გაბაშვილისა.

III.

მოთხრობაში გურგენაულის ბაბო (გვ. 243) გამოყვანილია სოფლის „ტკბილი, გონიერი, დარბაისელი გოგო, რომელიც სახით არც შესანიშნავი ლამაზი იყო და არც გონჯი. უფრო იმ ლამაზებს ეკუთვნოდა, რომლებიც ძლიერ მოსწონთ გლეხებს, ზორბა მხარ-ბექ-გადაშლილი, ლოყა წითელი და შავთვალა მარილიანი ქალი.“ ამასთანავე დედამ ეს ქალიშვილი დაუღალავ შრომაში გამოზარდა და, აი, ამისთანას ვისმეს უყვარს ოსიანთ ოჯახის უმცროსი ძმა ჯბო, „მამაცი და ლაზათიანი დევის მსგავსი ვაჟი“.

მაგრამ ბაბოს ჯიბოზე კი არ ნიშნავენ, ჯიბოს უფროს ძმაზე, მაქსიმეზე ნიშნავენ და, ბოლოს, იმაზე იწერს ჯვარს, რადგან ჯიბო უმცროსია და უფროსზე ადრე ცოლს როგორ შეირთავდა.

ამ რიგად, სოფელ გუგულის ქედში „გაბედნიერდა“ ორი არსება: ბაბომ და მაქსიმემ ერთს გულუბრუნ და დოვლათით საესე შემოდგომის დღეს ჯვარი დაიწერეს. ექვსი თვეც არ გასულა ამას შემდეგ, რომ ბაბო სულერთიანად სანთელივით ჩამოდნა, გაყვითლდა და დაიღია იმისი ფერხორცი და სიკოცხლეც. არც ჯიბოს დაყრია სიკეთე. ისიც, ეს წამოსადეგი ვაჟაკიც ძალზე დასუსტდა, ფეხზე ველარ დგებოდა და ლოგინად ჩავარდა.

ერთ საღამოს მაქსიმე შინ მოდის „ძალზე შეზარხოშებული“ და პირდაპირ ცოლს დაეტყუება და საქმე იქამდის მიდის, რომ მაქსიმე ცოლს ძირს დასცემს და ორივე მუხლებით გულზე შედგება და ყელში მაგრად წაუჭერს. ამ დროს ჯიბო კეტს ისე საშინლად დაკრავს მას თავში, რომ იგი ამის შემდეგ ველარ გამობრუნდება და რამდენიმე დღის შემდეგ კვდება.

ჯიბო ციმბირს გაგზავნეს და ბაბო კი რამ-

დენიმე ხნის ავთომყოფობის შემდეგ რკინის გზის სადგურზე გამოვიდა და იქ ორს მონაზონს გაეცნო, რომელთაც მცხეთას წაიყვანეს მოსამსახურეთ... მონაზვნებმა შეიბრაღეს იგი, შეუნდგეს მას შეცოდებანი, მიიკედლეს სვეტი-ცხოვლის წმიდა ალაგას, ასწავლეს ლოცვები, სინანული, მოთმინება და მისცეს მას ნუგეში მომავალი ცხოვრებისათვის...

მოთხრობა „ბეჩავის სიყვარული“ (გვ. 323) გვიხატავს ცხოვრებას კიდევ ერთი სოფლელი შეძლებული ტეტის, ნინიკა პაპიაშვილისას, რომლის დიდი დარდი ამ ქვეყნათ ის იყო, რომ მას ვაჟიშვილი არა ჰყავდა და „ექვსი ტალიკ-ტალიკი გოგო, ერთი მეორეზე უკეთესი თუ სილამაზით, თუ წარმოსადეგობით, თუ ვაჟკაცურის მხნეობით, ჩალადაც არ მიიჩნდა“ ამ ჩვენ ნინიკას.

შაქარა მგელაძემ, რომელიც ნინიკას ცოლს რუსუდანს „ნათესავად მოხვდებოდა“, თვისი ბიჭი—გაბრო მოუყვანა მოჯამაგირეთ.

გაბროს შემოსვლით ნინიკა პაპიაშვილის ოჯახში ღვთის თვალი უფრო დიდი სიუხვით დატრიალდა. ყოველიფერს დიდი ლაზათი, სიუხვე და სისუფთავე დაეტყო. გაბროს ჩუმი, უწყინარი და ტკბილი, ხავერდით ლბილი ხასიათი მაინც ყველას ხიბლავდა და აყვარებდა იმის თავს.

რუსუდანი ხშირად ეტყოდა ხოლმე ნინიკას, გაბრო შეილად ავიყვანოთო, კანონიერად გადავცეთ მემკვიდრეობაო და ნინიკაც არ იყო უარზე: სწორედ ოქროა ეგ დედ-მამა ცხონებული, ოქროა! იტყოდა ხოლმე ნინიკა.

ბოლოს, როცა ბევრი ფიქრის შემდეგ, ცოლ-ქმარმა გადასწყვიტა გაბროს შეილად აყვანა, ნინიკამ გასწია შაქარასთან სხვა სოფელში, რომ ღარიბი მამა გაბროსი დაეყაბულებინა, დაეთანხმებინა. დაითანხმებინა კიდევ და, ამანირად, გაბრო შეილად აიყვანა ნინიკამ.

ნინიკას მეორე ქალიშვილი, მარო სწორედ ამ დროს თექვსმეტი წლის ათქვირებული გოგო იყო, რომლის გულის გაღვიძება ცეცხლის-მფრქვევ მთას ემსგავსებოდა. გაბრომ უმაღლეს იგრძნო ამ ცეცხლის ძალა და, თუმცა არ აბ-

რიალდა, მაგრამ სიამოვნებით კი მიუშვირა ხელელები გასათბობად.

„გაბრო მუშაობის შემდეგ ჩრდილოში წამოწოლილი თამამად ჩაუღებდა ხოლმე თავს კალთაში თავისს დობილს და მაროც სიამოვნებით უწევდა აბრეშუმივით ბრკყვილა თმას, ხელს უსვამდა სპეტაკ შუბლზე, ჰარმონიულის ნანით, უტკობდა ყურს და სიახლოვით გულს და სურვილს. მთვარიან ღამეებში, სიმინდის რჩევაზე, ხშირად მიაყრდნობდა ხოლმე მარო გაბროს მხარს და სთვრებოდა იმის გულის მოხშირებული ფართხალით; ბევრჯელ ეს სიმთვრალე იქამდისაც მიაღწევდა ხოლმე, რომ ტუჩი ტუჩს იბოვნიდა, ყელი ყელს და თავის დავიწყებამდე მიიყვანდა ტუჩ შეწებებულთ და ხელ გადახვეულთ, მაგრამ... გაახსენდებოდათ, რომ ესენი და-ძმანი იყვენ და ციფ-წყალ-დასხმულსავეთ გამოუხიზდებოდენ ხოლმე“.

აი, ამ ორს წრფელის გულით შეყვარებულ არსებას წინ გადაედობება ჩვეულებრივ სოფელელების ცრუ მორწმუნეობა ძმობილ-დობილობისა და უკვალოდ დაიღუპებიან მაროც და გაბროც სწორედ ისე, როგორც სხვა გმირები ეკატერინე გაბაშვილის ყველა სხვა მოთხრობებისა...

მე გაუთვალისწინე მკითხველს ქ-ნ. ეკატერინე გაბაშვილის თვალსაჩინო მოთხრობათა შინაარსი, რომელიც სოფელეების ცხოვრებიდან უფრო ერთს დიდს, საყურადღებო საგანს—ქალ-ვაჟის პირველ სიყვარულს გარშემო უტრიალებს და ამ უმანკო, ანგელოსურს სიყვარულის გაფურჩქნას უგალობებს მშვენიერს, მიმზიდველს საგალობელს. ყველა იმისი მოთხრობების გამოუცდელი გმირები უდროოდ კნებიან, ყვითლდებიან და იღუპებიან, რადგან სოფლად ქალ-ვაჟთა შეერთებას და შეკავშირებას ყოველთვის ხელს უშლის ტეტიათა ცრუ-მორწმუნეობა, წრეს გადასული, სასტიკი ჩვეულება. მთავარი საგანი ჩვენი ავტორის მოთხრობათა შინაარსისა ეს არის მხოლოდ. და სწორედ იმ დღიდან, რა დღიდანაც იმის მოთხრობათა გმირებს გამწარებული ცხოვრება ეწყებათ, რომელიც უფრო საინტერესოა ცოც-

ხალი ადამიანისთვის, უნდა გაეშალა საესებით და დაეხატა ავტორს მხატვრულად, იგი რაღაც მოულოდნელად და უეტრადაც საგანს სტოვებს, განზე უხვევს და გადაქარბებულ მხატვარისათვის შეუწყნარებელ გულის წყრომით გააღმასებული სამარცხვინო ბოძზე აკრავს უვიცს ტეტებებს და მოთხრობების ახალგაზდა გმირებს ფრთების გაშლასაც კი არ აცლის ხეირიანად, იმ წამსვე საიქიოსკენ ისტუმრებს...

ასე აჩქარებულად სწერს და სჯის ჩვენი საქებური მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა და ასეთი მანერა წერისა და მსჯელობაც, უნდა მართალი მოგახსენოთ, ყოვლად შეუწყნარებელია მხატვრულ მწერლობაში...

მართალია, უმანკო სიყვარულის სხივი ყველა ჩვენგანს გულში ჩასწვდენია და მისი მთელი არსება აუპრილებია, მაგრამ ისიც ძალიან მართალია, რომ პირველი სიყვარული ყველა ჩვენგანისთვის ნამდვილი სიზმარი ყოფილა და მეტი არაფერი. თითქმის არავის ჩვენგანს ახლანდელს ცხოვრებაში არ ღირსება ამ სიზმარების ცხადად დანახვა, აღსრულება და არც შემდეგში ეღირსება მოზარდ თაობას, რადგან აწინდელი ცხოვრება თუ რთულდება, თვარა არ მარტივდება, ძველებური სადა ელ-ფერი და ხასიათი მას აღარ დაუბრუნდება. მაგრამ, დამეთანხმებით, არც ერთი ჩვენგანი, ქალია იგი, თუ ტანმთელი კაცი, ამ გარემოებას არ გადაყოლია, არ მოუკლავს.

აი, ასეთს ხერხებს მიმართავენ ხოლმე ლიტერატურაში უნიკო და გამოუცდელი მწერალნი; რომ უნიადაგო აფეთქებით მოხიბლონ მკითხველნი. ქ-ნ. ეკატერინე გაბაშვილისას კი ეს არ მიეტყვება, რადგან მას დაკვირვების ნიჭიც აქვს და მწერლობის მაღლიც კარგად ატყვია. მაშასადამე, იგი, წინადავე აღებულ ტენდენციებს რომ არ აყოლოდა, უფრო რიგიანს, სწორს და სრულს მხატვრობას შექმნიდა. სწორი, რიგიანი, სრული და შვენიერი მხატვრობა კი ღრმად იხედება ცხოვრებაში და ხატავს იმას, რაც მოხდება ხოლმე ჩვენი თვალის წინ მუდამ დღე და ყოველთვის დახატავდა,

რა თქმა უნდა, თვისი, ავტორის სულიერი განცდით.

მოგვხსენებთ, ცხოვრებაში ქალსაც და კაცსაც დღეს, დღეინდელ ეკონომიურ პირობებში, დიდად აუტანელი ტანჯვა და მწუხარება შეხვედება, მაგრამ ისინი გრძნობენ თვის უძლიურებას ამ დიდი ტანჯვის წინაშე და ცხოვრებას ურიგდებიან, ან ცდილობენ გამწარებული ცხოვრება, ეს მძიმე უღელი, შეისუბუქონ მუდმივ შრომითა და მუშაობით და, ამნაირად, თვისი ცხოვრების მოკლე დრო გაატარონ ნაკლები გამწარებითა და შეწუხებით. ტანთელი ადამიანი, რომელსაც უცნია თვისი თავი, პირველი სიყვარულის სხვერპლი ვერ გახდება, იმიტომაც, რომ ეს სწორედ პირველი გატაცებაა გულისა, უფრო გამოუცდელი, დაუკვირვებელი და, მაშასადამე, ასე წუთიერ გულის ამყარ „საქმეზე“ თავს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გადააკლავს, თუ იმას, რასაკვირველია, ნამდვილ რეალურად წარმოდგენილი აქვს ცოლ-ქმრობის დიდი კავშირი, შეილების და ოჯახის გაბედნიერება და სამსახური. აი, თუ არის ასაწერი რამ, სწორედ ეს ცხოვრება, რთული, დიადი ცხოვრებაა ნამდვილ ასაწერი იმიტომაც, რომ ამ ცხოვრებას, ამ ოჯახს, როგორც საკუთრებას, უდიადესი და უძლიერესი მნიშვნელობა და აზრი აქვს დღეს ადამიანისთვის...

მე მგონია, ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილისას, რომელმაც ასე ბევრი იცის შევნიერი ქართლის სოფელელთა ცხოვრების მრავალი მხარეები, უნდა გამოეხატა გადუქარბებლად ეს ყოველდღიური ცხოვრება და ზომიერებას, რომელიც აძლევს ლაზათს და სიცოცხლეს მხატვრობას, არ უნდა გადასცილებოდა, არ უნდა ეღალატებია იმისთვის...

ხომელი.

შემდეგი იქნება.



რას გვჟიკან?

დ. საჩხერე (შორაპნის მახრა), ავერ ოცდაერთი წელიწადი სრულდება, რაც ამ დაბა-

ში განსვენებული დეკანოზის ივანე აბაშიძის თაოსნობით და ნეტარხსენებული მღვდელ-მთაფრის იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ნებართვით დაარსებულია ორკლასიანი სამრევლო სკოლა. ეს სკოლა დაარსდა ამ დაბაში 1891 წ. სწორეთ იმ დროს, როცა აქ არავითარი სასწავლებელი არ იყო. მოსავლით მდიდარი, პავით მოსაწონი, ბუნებიდან დაჯილდოვებული, მგოსანი აკაკის ენით „პატარა პარიზათ“ წოდებული საჩხერე ჯერ ეხლაც დიდად მოკლებულია სწავლა-განათლებას და ამ ოცდაერთი წლის წინათ რა იქნებოდა? სწორეთ სამღვდლო პირმა იგრძნო პირველად ამ დაბაში ნაკლი და საჭიროება სწავლა-განათლებისა და ჩააგონა თავის საბლალოჩინო მღვდლებს (განსვენებული ივანე აბაშიძე იყო ბლალოჩინი) გაეხსნათ ორკლასიანი სამრევლო სკოლა დ. საჩხერნში და კიდევაც განახორციელა თავისი სურვილი ნეტარხსენებულ ეპისკოპოს გაბრიელის დახმარებით. ამ სკოლაში ამ 21 წლის განმავლობაში 5,000 მოსწავლეს უსწავლია და რამოდენიმე მათგანს უმაღლესი სასწავლებელიც კი გაუთავებია, რომლებიც დღეს ამ პატარა სკოლას სიყვარულით იხსენიებენ. დღიდან დაარსებისა ამ სკოლაზე მზრუნველობა განსვენებულ დეკანოზს მიუნდვია თვისი შვილის, ნოტარიუსის ბ. დიმიტრი აბაშიძისათვის, რომლისთვისაც სიკვდილის წინ ანდერძათ დაუტოვებია განსვენებულ დეკანოზს: „ეს სკოლა მიგაჩნდეს შენ შვილათ და მას მოუარე ჩემზედ უფროვო, იგი მიგაჩნდეს შენ უკვდავ ძეგლათ, იცოდე უფრო მაგარ ძეგლს შენ ვერ ააგებ ვერა დროსაო.“ სწორეთ ბ. დიმიტრი აბაშიძემ საესებით შეასრულა მამის ნაანდერძევი დარიგება. ვერ მოსთვლის ენა, რამდენი დახმარება ამოუჩენია და დღესაც უჩენს ამ სკოლას ბ. დ. აბაშიძე, რამდენი შიშველი მოსწავლე შეუმოსავს მას ამ სკოლაში, რამდენისათვის უყილია სასწავლო ნივთები და სხვა და სხვა, მაგრამ უმთავრესი და უდიდესი კი ის არის, რომ მან წასრულ 1911 წელში ააშენა სკოლის ეზოში, ოთხი თვალი სასკოლო სახლი, ღირებული კომისიის შემოწმებით 4,000 მანეთამდე, რომე-

ლიც შესწირა იმავე ორკლასიან სამრევლო შკოლას, სადაც საკუთარი მასწავლებელი დაინიშნა და დღეს სამოცამდე ბავში სწავლობს. პატივცემულ მზრუნველს არ აკმაყოფილებს უბრალო ორკლასიანი შკოლა. მას უნდა ამაზე უმაღლესი სასწავლებელი დაარსდეს და რადგან ეს შეუძლებელია სასულიერო უწყებაში, ამიტომ შეუამდგომლობა აღძრა, რომ აღისუბნის მეორეკლასიანი შკოლა იქნეს გადმოტანილი დ. საჩხერეში. მზრუნველის შეუამდგომლობას შეუერთა თავისი თხოვნა საჩხერის საბლალაოჩინო სამღვდლოებამ, რომელიც აცხადებს, რომ თანახმა არის 500 მანეთი შემოიტანოს ერთდროულად, უკეთეს აღისუბნის სასწავლებელი იქნება გადმოტანილი დ. საჩხერეში.

აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც ამავე საჩხერის შკოლას გამოუჩნდა მეორე შეგნებული გულშემატყვიარი ადამიანი, ბ. ილარიონ ოტიასძე გამყრელიძე, რომელმაც შესწირა ამ შკოლას 300 ოთხკუთხი საფენი მიწა შკოლის ეზოზედვე მოხმული. დღეს ამ შკოლაში ექვსი მასწავლებელია მმართველიანა და გიმნასტიკის მასწავლებელიანა. მოწაფეთა რიცხვი ყოველწლობით მატულობს ნამეტურ მოძრაობის შემდეგ, მათი რიცხვი დღეს 230 აღემატება. სწავლების საქმეს ყოველი მნახველი დღიდან ამ შკოლის დაარსებისა მოჰყავდა და მოჰყავს აღტაცებაში. დიდათ სასიამოვნოა ის, რომ ქართულ ენას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამ სასწავლებელში. მადლობის ღირსნი არიან მასწავლებლები ამ შკოლისა, რომლებმაც თვისი ენერგიული, დაუზარებელი და სინიდისიერი შრომით იმდენად შეაყვარეს ხალხს სწავლა, რომ დღეს ადგილსაც კი ვეღარ შოულობენ შკოლაში.

ტყველუანელი.

სამურძაყანო.

სოფ. ბედია. სოფელი ბედია მდებარეობს აღმოსავლეთით ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე

დ. ოჩამჩირედგან. ხსენებული სოფელი ერთ დიდ სამამასახლისოდ ითვლება, რომელშიდაც ათას ორასამდის ადის მცხოვრებთა რიცხვი.

რა საკვირველია, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი ძირითადი სამურძაყანოველნი არიან და მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ. თუმცა შეგვხვდებათ კაცი აფხაზურის მოლაპარაკეც, მაგრამ არაფერ კი არ არის ისეთი, რომ მეგრული არ იცოდეს, თუნდა ძირითადი აფხაზიც იყოს. ახალგაზდობა მაინც სულ მეგრულად მოლაპარაკეა, რადგანაც ეს მათი დედა ენაა და არაფერი აფხაზური არ იზიდავს მათ. მაგრამ ეს ფაქტი სჯერათ ზოგიერთებს?!

ხსენებულ სოფ. ბედიაში ერთ გამოჩინებულ მადლობზე მეფე ბაგრატ მესამისაგან X საუკუნეში აშენებული მონასტერია, რომელიც ამ ჟამად დაობლებული სდგას და განახლებას ელის. ამ მონასტრის იქვე მახლობლად მამა იესე შელიამ თავისი შრომით და ოფლით ააგო მლოცავთათვის პატარა საყდარი, რამაც გამოიწვია სოხუმის ეპისკოპოსის მოწვევა საკურთხეველად. 26 აპრილს ბედია გაუღიმა აქ მცხოვრებლებს და ყოვლადსამღვდელო სოხუმის ეპისკოპოზი ანდრია ეწვია. საქირით მიმანია აღენიშნო, რომ ეს უკანასკნელი არა ჩვეულებრივი მოვლენაა სოხუმის ეპარქიაში. თუ რამდენათ სიმპატიური და საყვარელი ადამიანია მისი შეუფება, ამაზედ ლაპარაკი მეტია, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს პატიოსანი გვაში თლათ გაჟღენთილია კაცთ - მოყვარეობით. ამ არსებას არამც თუ არ შეხებია სიძულვილი ჩვენი ერისა, არამედ უკანასკნელთა სიყვარული ღვივის მის გულში და ამიტომ ასე მოკლე დროში დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ხალხში.

სწორეთ რომ ანდრია პირველწოდებული მოევილინა სოხუმის ეპარქიას. საყდრის კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. კურთხევის გათავების შემდეგ ყოვლადსამღვდელო გამოვიდა საყდრიდან და ქადაგება დაიწყო, რასაც ხალხი მოუთმენლად ელოდა. მაგრამ უმრავლესობის სიხარულს მალე ბოლო მოელო. ეპისკოპოზი, რასაკვირველია, რუსულად ქა-

დაგება, თარჯიმანს ბლალოჩინ დ. მარლანის უნდა გადაეთარგმნა დედა ენაზე, ე. ი. მეგრულად, რაც ეპისკოპოსისაგანაც ნაბძანები ჰქონდა და ზოგიერთმა პირებმაც ასე თხოვეს. მაგრამ აქ სულიერ მამას გაუეღვა თავში რაღაცა აზრმა და აუხაზურად მიჰყვა თარგანას, რასაც ამ აუარებელ ხალხში სულ მცირე ნაწილიც თუ გაიგებდა ხეირიანად. მეგრულად რომ გადაეთარგმნა მ. მარლანის სულ უმნიშვნელო ნაწილიც არ დარჩებოდა, რომ არ გაეგო. შარშანაც ბრძანდებოდა პირველ ბედის მრევლის ეკლესიაში ეპისკოპოსი დიმიტრი, იქადაქა ხალხში და ძირითად ბედიელ აზნაურმა მასწავლებელმა თომა ეშიბაიამ მეგრულად გადაეთარგმნა ხალხს, რაც ყველას ესიაშოვნა და არავის უკმაყოფილება არ გაუცხადებია. ჩვენი აზრით ვალდებული იყო მ. დეკანოზი მარლანია სხვა მიზნებისათვის იმ წუთებში მაინც თავი დაენებებია, ხალხისთვის მისი მწყემსთაგონის სიტყვა გასაგებ ენაზე გადაეცა, როგორც მოიქცა მსგავს შემთხვევაში ზემოხსენებული მასწავლებელი ეშიბაია. მაშინ ეპისკოპოსის ძვირფასი სიტყვა არ დარჩებოდა ხმად უდაბნოში მღალადებელისა. საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც: თეკლათის დედათა მონასტრიდან ქართული ხორო იყო გამოგზავრებული, რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოვიდა, რის გამო საგალობლად მოქვის მონაზვნებს მოუწოდეს. ამავე სულიერმა მამამ დეკ. მარლანიამ და მისმა კარგმა მეგობარმა წინადადება მისცეს მონაზვნებს, რომ ქართულად არაფერი არ ევალობნათ, მიუხედავთ ეპისკოპოსის სურვილისა.

დამსწრე საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა მ. მარლანის მოქმედებით, მაგრამ მ. მარლანია არ შეუწყუხებია ასეთ უკმაყოფილებას, ის ძლიერ კმაყოფილი დარჩა მით, რომ ერთ წამში მაინც აუხაზური ენა და გალობა გაამეფა სამურძაყანოში. ჩვენ არავის არ ვძრახავთ თავის ენის სიყვარულს თავის ოჯახში და წინააღმდეგი ვართ სხვისი დედა ენის ყოველი შევიწროების.

ზემო იმერელი.

იმერეთის სამღვდლოების და მნათეების საყურადღებოთ.

მისი მეუფების ბრძანებით რედაქცია აუხადებს შემდეგს:

1. ამ დღეებში ბლალოჩინებს დაეგზავნება განსაკუთრებული ეგრეთწოდებული მნათის რვეულები, რომელიც უნდა ჩაბარდეს ყოველ მღვდელს: რვეულშია ოცდაათი დამზადილი ბლანკი, სადაც აღნიშნულია ცნობები: რომელი ეკლესიისთვის რამდენი და რა ხარისხის სამთელია საქირო, ამგვარი მოთხოვნილება თუ არ მიიტანა მნათემ კრებულისაგან ხელმოწერილი, ისე სამთელს ვერ მიიღებს. ამ რვეულს დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც საწყობის ისე ეკლესიების წიგნების შემოწმების დროს.

2. სამთელი გამოვა ორფერი ბეჭდით: ლურჯით და წითელით. ლურჯ ბეჭდიანი ეგზავნება ეკლესიებს, ხოლო წითლიანი კერძო პირებზე იყიდება კერძო საქიროებისათვის.

წითელ ბეჭდიანი სამთლის ეკლესიაში გასყიდვა აკრძალულია.

3. საწყობში ღერობით სამთლის გაყიდვა სრულიად აკრძალულია.

4. კერძო ვაჭრობა სამთლით, დუქანში იქნება იგი თუ ხელზე, სრულიად აკრძალულია. ყველა ვალდებულია საჩქაროთ გაამცხადოს, თუ სადმე აღმოჩნდება ამგვარი რამ, რადგან ეს კანონით ბოროტ მოქმედებათ არის აღიარებული.

5. ყოველი ეკლესიის კრებულს მოკლე ხანში დაურიგდება ცალკე ფურცლებით დაწერილებითი ცნობები იმის შესახებ თუ როგორი ინსტრუქცია ექნება სახელმძღვანელოთ საწყობის გამგეს, რომ ამგვართ ყველამ ბეჯითათ იცოდეს რა წესით სწარმოებს სამთლის ვაჭრობის საქმე ეპარქიაში.

იმერელი



კვირიღამ-კვირამდე

მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ებ. გიორგი სამშაბათს 18 ივნისს თავის სამშობლოში, სილნახის მაზრაში, წაბრძანდა. ქუთაისში დაბრუნდება კვირიკობისთვის პირველ რიცხვებში.

როგორც გვაცნობეს, ყოვლადუსამღვდელო ლეონიდე პირველ კვირიკობისთვიდან შემოქმედის მონასტერში დაბინავდება ენკენისთვის პირველ რიცხვებამდე.

იმერეთის სანთლის დუქნის და გელათის სანთლის ქარხნის რევიზია დასრულდა. რა აღმოაჩინა ამ რევიზიამ, ჯერ არ ვიცით.

გამოვიდა და ისყიდება „შინ. საქ.“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი: „სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა,“ წიგნი სუფთადაა გამოცემული, შეიცავს 80 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

ამ წიგნის გამოცემაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა გარდაცვალებული მღვდლის მაქსიმე გოგლიძის მემკვიდრეებმა მღ. ექვთიმე მისხურაძემ და მისმა მეუღლამ ტერეზია მაქსიმეს ასულმა. თანახმად მათი სურვილისა ეს წიგნი იმერეთის ეპარქიის შტატის ეკლესიებს მუქთად დაურიგდება. ვინც წიგნს ფოქტით დაიბარებს ვასაგზავნ ფასად თოთხმეტ კაპიკს ან ორ შვიდეკაპიკიან ფოქტის მარკას გამოგზავნის „შინაური საქმეების“ რედაქციაში. რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის მ. ე. მისხურაძეს და მის მეუღლას ტერეზიას შემწეობისათვის.

რედაქციას მზათ აქვს გამოსაცემათ ფრიად საგულისხმო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნი: „ქრისტეს კვალზე“. უსახსრობის გამო გამოცემა შეჩერებულია; ამიტომ რედაქცია სთხოვს ყველა ქველმოქმედ პირს, ვისაც კი ხალხის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი

ბრივი აღზრდა რამეთუ მიაჩია, დაგვეხმაროს ამ წიგნის გამოცემაში, რომ იგიც მსგავსად ზემო აღნიშნული წიგნისა მუქთად დაურიგდეს მთელ საქართველოს ეკლესიებს სახალხო საკითხავ წიგნათ.

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი რაიმე ნაწერი მოეპოება განსვენებულ ესტატე მკედლიძის—ბოსლეველისა—გამოგვიგზავნოს, რადგან მის თხზულებათა გამოცემის საშაღისს უკვე შეუდგეთ. აღრესი: ქუთაისი. „შინაური საქმეების“ რედაქცია.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ გაზეთის „შინაური საქმეების“ საშვალეებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემ და ჩემი მრევლის მხრით ნავენახევის საეკლესიო შკოლის მზრუნველს აზ. ალექსანდრე დავითისძეს გოცირიძეს, რომელმაც ხსენებულ შკოლას გაუკეთა ქეთვირის ქვედა სართული ღირებული 120 მანეთათ, და აზ. ლალიძეებს, რომლებმაც ამავე შკოლას შემოსწირეს ეზოს ადგილი ზომით ერთ ქცევაზე მეტი.

მღ. რ. კირაქაძე.

მამაო რედაქტორო!

კაცხის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული მრევლითურთ მადლობას უცხადებთ ხსენებულ ეკლესიის კეთილის მყოფელთ და შემომწირველთ, სახელდობრ: სამსონ აბესაძის ქერივს ლალოს, კიკია და იასონ აბესაძეებს, რომლებმაც შემოსწირეს ერთი თუმანი ფული პურის საკურთხის შესაძენათ; მიხელო ჩიხელიძეს, რომელმაც შემოსწირა ტრაპეზის გადასაფარებელი და საკონდაკე მაგიდა ღირებული 15 მანეთათ, და ვარლამ ჩიხელიძეს, რომელმაც შემოსწირა 5 მანეთი დაფარების საყიდლათ.

მღ. მ. კახეთელიძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჯეღლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ბანცხადება

„ძმობის“ სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ წიგნები

„სინამდვილელ სახარებოსა“
და უბის
„ვეფხვის ტყაოსანი“

ესი თითოეული წიგნისა ექვსი შაური. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

ბანცხადება.

ამოგის სტამბაში

დაიბეჭდა და ისეიდება

„ენობის ფურცლის“

(СПРАВОЧНЫЙ ЛИСТЪ)

ბლანკები.

(ძმობის სტამბაში)

დაიბეჭდა მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები.

იყიდება იქვე.

ქ. ქუთაისში, სტამბა „ძმობა“ კახაკოვის შესახვევში სახლი № 17.

სტამბა - „ძმობა“

კახაკოვის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს
ასრულებს დროზე და სუფთათ.

ფასები დაკვეთილად.

სამხატვრო სახელოსნო ქირაკოვისა

ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს, ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინიღისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არა აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსების ნდობით.

აღრმსი: „ზინაური საქმეების“ რედაქცია ან კახაკოვის ქუჩა № 17.